3. *ბუღალტრული აღრიცხვის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამა* -აუდიტორია №209. ფართი- 44.4 კვ.მ. A/B გარემო. ერთ ცვლაში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 20. სულ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 40 (ორ ცვლაში) ფართი და ინვენტარი აკმაყოფილებს სტანდარტებს.
4. *ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა*- აუდიტორია №302. ფართი- 49.4 კვ.მ. A/C გარემო. ერთ ცვლაში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 20. სულ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 40 (ორ ცვლაში) ფართი და ინვენტარი აკმაყოფილებს სტანდარტებს.
5. *. ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა* -აუდიტორია №308. ფართი- 48 კვ.მ. A/B გარემო. ერთ ცვლაში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 20. სულ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 40 (ორ ცვლაში) ფართი და ინვენტარი აკმაყოფილებს სტანდარტებს.
6. *ინფორმაციის ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა* -აუდიტორია №208. ფართი- 45.9 კვ.მ. A/B გარემო. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 20. ფართი და ინვენტარი აკმაყოფილებს სტანდარტებს.

7. *მეხილეობის (კაკლოვანი კულტურები) მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა* - აუდიტორია №106. ფართი- 47,6 კვ.მ. A გარემო. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 20. ფართი და ინვენტარი აკმაყოფილებს სტანდარტებს.

სულ სასწავლო ფართი ამ ეტაპზე წარდგენილი პროფესიული პროგრამების გათვალისწინებით (A/B/C გარემო). - 323,1 კვ.მ. მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ჯამი-**240 (ორ ცვლაში)**

**მათ შორის:** A გარემო. - 87,8 კვ.მ.
A/B გარემო - 138.3 კვ.მ.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

A/ C გარემო-97 კვ.მ.

სასწავლო უნივერსიტეტი ფლობს და მუდმივად აახლებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასახორციელებლად ინვენტარს, ლაბორატორიებს, სასწავლო მასალებს, აღჭურვილობას. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისთვის, მათ შორის საერთაშორისო პროექტების ფარგლებში თანამდროვე საინფორმაციო ტექნოლოგიური საშუალებების, სტომატოლოგიის, კრიმინალისტიკის, მედდის, ფარმაცევტის თანაშემწის, ელექტრიკოსის, ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის ლაბორატორიის აღჭურვილობას, კომპიუტერული ლაბორატორიებს, სასწავლო სსახელოსნოებს (დურგლის, შედუღების, ფილამწყობის, სატრანსპორტო საშუალებების შეკეთების) და სხვა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. მატერიალური რესურსის/ინვენტარის/კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
2. გამოკითხვების შედეგებით;
3. შენობის შიდა აზომვითი ნახაზით;
4. ინტერვიუირებით სასწავლო უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროფესიული პროგრამების კოორდინატორთან, სენაკის განყოფილების უფროსთან;
5. ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

**☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**2.2** დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სასწავლო უნივერსიტეტში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო, მათ შორის: სანიტარული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა, ამ მიზნით:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ განხორციელდა სენაკის სასწავლო კორპუსის სრული რეაბილიტაცია, გათბობის სისტება, სანიტარული კვანძები, ღირებულებით 446 168.88 ლარი (2015 წლის თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტი)

სენაკის სასწავლო კორპუსის გადახურვა კარ-ფანჯრები, გარეთა სამუშაოები-მობათქაშება-შეღებვა 284 396.16 ლარი (2015 წლის 24 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტი).

ზუგდიდის სასწავლო კორპუსის გადახურვა ღირებულებით 192 286 ლარი ( 2014 წლის 17 ნოემბრის მიღება-ჩაბარების აქტი);

ზუგდიდის სასწავლო სახელოსნოს სრული რეაბილიტაციისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ღირებულებით 770 977 ლარი (2015 წლის 25 სექტემბრის
#32050203/03/228 მიღება-ჩაბარების აქტი);

სასწავლო უნივერსიტეტის 2017 წლის 14 ივლისის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 116 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ზუგდიდის სასწავლო კორპუსის გათბობის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები ღირებულებით 92 113 ლარი;

2017 წლის 14 ივლისის სასწავლო უნივერსიტეტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #117 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ზუგდიდის სასწავლო კორპუსის შიდა სარეაბილიტაციო და გარე საკანალიზაციო ქსელის, სანიტარული კვანძების მოწყობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებით 121 939 ლარი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო უნივერსიტეტის 2014 წლის 05 დეკემბრი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 171 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ზუგდიდის ზუგდიდში საერთო საცხოვრებლის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ფაქტობრივი ღირებულებით 484 936.69 ლარი.

სასწავლო უნივერსიტეტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 28 სექტემბრის #130 ხელშეკრულებებით შესყიდულ იქნა 217 412 ლარის ღირებულების სენაკში საპლანტაციო გზის მოწყობა

2016 წლის 05 სექტემბრის #119 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ზუგდიდში 131874 ლარის ეზოს კეთილმოწყობის სპორტული მოედნის, სასწავლო სახელოსნოს შენობის სარეაბილიტაციო, წყლის სადაწნევო ავზის მოწყობის, სანიაღვრე კანალიზაციის, საქვაბე შენობის მოწყობის სამუშაოები.

სასწავლო უნივერსიტეტის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2016 წლის 29 ივნისის # 86 ხელშეკრულებებით შესყიდულ იქნა სენაკში მეცხოველეობის ფერმის ელექტრომომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები

2016 წლის 12 ივლისის #92 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა გაზიფიცირების სამუშაოები 10495 ლარის ღირებულების

2016 წლის 18 მარტის #25 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ჭაბურღილის მოწყობა 49 877 ლარის ღირებულების

2015 წლის 28 ოქტომბრის #170 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა სენაკში მეცხოველეობის ფერმის წყალმომარაგების მაგისტრალის მოწყობა

2015 წლის 11 მარტის # 16 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა სენაკში მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა ღირებულება 618 000 ლარი

2017 წლის 06 ოქტომბრის #141 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ზუგდიდში სასწავლო კორპუსის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 40 357 ლარის ღირებულებით 2017 წლის 31 ივლისის #128 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ზუგდიდში სამზარეულოს/სასწავლო სახელოსნოს სარეაბილიტაციო სამუშაოები 34 999 ლარის ღირებულებით.

2016 წლის 30 დეკემბრიდ #204 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა კომპიტერული ქსელების მოწყობილობები 70 972 ლარის ღირებულებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



2018 წლის 09 იანვრის #2 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა კომპიტერული საკომუნიკაციო ქსელური მოწყობილობები (თანმდევი მომსახურებით-მოწყობა-მონტაჟით) 67 387 ლარის ღირებულებით.
2015 წლის 17 მარტის #26 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა ავეჯი 31 398 ლარის ღირებულების
2015 წლის 16 ოქტომბრის #150 ხელშეკრულებით შესყიდულ იქნა სენაკში კეთილმოწყობის სამუშაოები 89 302 ლარის ღირებულების მიმდინარეობს მუშაობა აგრარული მიმართულებით მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოსაწესრიგებლად: მეცხოველეობის ფერმაში ნაკელგამტანი მოწყობილობის საპროექტო ხარჯთაღრიცხვის დაზუსტება, სენაკის ბაზაზე საერთო საცხოვრებლისა და სასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწის შემოღობვის სარემონტო სამუშაოების დასასრულებლად, მეფუტკრეობის მოდულური პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის დანერგვის მიზნით - მეფუტკრეობის სახელოსნოს და მექანიზაციის მიმართულებით პროგრამის დასანერგად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტექნიკის ავტოფარეხის მშენებლობის მიზნით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან კონსულტაციები (ანგარიშები) და სხვა აქტივობები, რაც გაწერილია სამოქმედო გეგმით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაციით;
- ელექტროენერგიის, გაზის და წყლის მოხმარების გადახდის ქვითრებით;
- ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

**☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3** დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას, როგორც ზუგდიდში, ასევე, სენაკში.

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებას და სასწავლო უნივერსიტეტი მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის შესაბამისად.

ხდება საბიბლიოთეკო ფონდის მუდმივი განახლება და სრულყოფა; ელექტრონული კატალოგების შექმნა და მისი განახლება პერიოდულად; წიგნადი ფონდის და რესურსების დაცვა დაზიანებისა და განადგურებისაგან, ბიბლიოთეკის სტატისტიკის წარმოება, ქსეროქსით მომსახურება (საავტორო და მომიჯნავე უფლებების გათვალისწინებით). გეგმიური ინვენტერიზაციისა და რეინვენტარიზაციის ჩატარების უზრუნველყოფა; განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მუშაობის დრო, დაცულია მკითხველის უფლებები ვალდებულებები და წიგნთან მოპყრობის წესები.

სასწავლო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკის სივრცეებია: წიგნსაცავი, ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე, შეხვედრების და ჯგუფური მუშაობის სივრცე/სამკითხველო

დარბაზი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე. ბიბლიოთეკის სივრცეებში დაცულია ხანძარსაწინააღმდეგო წესები, ასევე უსაფრთხოებისა და წიგნის დაცვასთან დაკავშირებით კლიმატის, ტენიანობისა და ვენტილაციის კონტროლი, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირობები და მოთხოვნები. საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობის სივრცე უზრუნველყოფს ერთდროულად 24 მკითხველის მომსახურებას ადგილზე, აღჭურვილია 20 ერთეული ინტერნეტში ჩართული თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერით, პრინტერებით, ასლგადამღებებით, სმარტბორდით ზუგდიდსა და სენაკში. ფუნქციონირებს ინტეგრირებული საბიბლიოთეკო პროგრამა Open biblio



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონული სისტემა. ბიბლიოთეკას გააჩნია მუდმივ განახლებადი ელექტრონული კატალოგი და ელექტრონული საძიებო სისტემა.

წიგნადი ფონდის საბალანსო რაოდენობაა 25 792 ერთეული ღირებულებით 98348 ლარი. რეინვენტარიზაციის შემდეგ რეინვენტარიზებული დოკუმენტების ჯამური რაოდენობა აღრიცხვის წიგნში ზუგდიდში არის 5903 ერთეული, სენაკში 1227 ერთეული. სულ 7130 ერთეული. ელექტრონულმატარებლებზე არსებული (ელექტრონული წიგნების) წიგნების რაოდენობა შეადგენს 626 ერთეულს.

სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გააუმჯობესა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის ბიბლიოთეკაში ელექტრონული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რისთვისაც განახორციელა შესყიდვა (2018 წლის 22 მარტის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების #44 ,,ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის -eIFL გამოყენების უფლების შესყიდვა/ხელმისაწვდომობა“ ელექტრონული რესურსები: 1) Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core); 2) BioOne Complete (http://www.bioone.org/); 3) e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/); 4) Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (https://www.elgaronline.com/page/70/journals); 5) IMechE Journals (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche); 6) New England Journal of Medicine (http://www.nejm.org/); 7) Openedition Journals (http://www.openedition.org/); 8) Royal Society Journals Collection (https://royalsociety.org/journals/); 8) SAGE Premier (https://us.sagepub.com/en-us/nam/sage- premier -1200 ლარი საწევრო წელიწადში ).

სასწავლო უნივერსიტეტის დომეინი zssu.edu.ge უზრუნველყოფს საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელის ბაზებზე წვდომას. **დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ბიბლიოთეკის დებულებით;
2. ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით;
3. ლიტერატურის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
4. ინტერვიურებით ბიბლიოთეკარებთან (ზუგდისა და სენაკში)
5. სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებთან (Scopus,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

Mendeley)წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტით;

6. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით [www.zssu.ge](http://www.zssu.ge)

**შეფასება:**

☐ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4** საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობს დამტკიცებული ,,საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დებულებითა“ და ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესით“, ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნეს პროცესების უწყვეტობის წესითა“ და ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმით.

სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა;

საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი გეგმავს სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურას და პასუხისმგებელია სერვერების გამართულ ფუნქციონირებასა და უსაფრთხოებაზე, ვებგვერდის ადმინისტრირებაზე;

სასწავლო უნივერსიტეტსის ბალანსზე ირიცხება, კომპიუტერები, პორტატული კომპიუტერები, მულტიფუნქციური და მონოფუნქციური პრინტერები, პროექტორები და ინტერაქტიული დაფები, მათ შორის: სასწავლო და ადმინისტრაციული მიზნებისთვის კომპიტერულ ტექნოლოგიები: კომპიუტერი 394 ერთეული, ლეპტოპი 109 ერთეული, ინტერაქტიული დაფა 5 ერთეული, პროექტორი 15 ერთეული. პრინტერი 49 ერთეული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტუდენტებსა და აკადემიურპერსონალს ემსახურება რამდენიმე კომპიუტერული ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, როგორც ზუგდიდში, ასევე, სენაკში.
სულ ზუგდიდის ბაზაზე კომპიუტერების რაოდენობა 330 ერთეული, ლეპტოპების რაოდენობა 72 ერთეულია. ინტერაქტიული დაფა 5 ერთეული. პროექტორი 10 ერთეული. მუშა და ახალი, როგორც მულტიფუნქციური ასევე მონოფუნქციური პრინტერების რაოდენობა (მათ შორის 4 ფერადი პრინტერი) 44 ერთეული ( შესაკეთებელი პრინტერების რაოდენობა 15 ერთეული ). პრინტერები და პროექტორები განაწილებულია ადმინისტრაციულ ერთეულებსა და ლაბორატორიებში.
სენაკის ბაზაზე საერთო ჯამში კომპიუტერების რაოდენობა არის 64 ერთეული, ლეპტოპების რაოდენობა არის 37 ერთეული, პრინტერებისა და პროექტორების რაოდენობა 5-5 ერთეული.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დებულებით;
2. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესით;
3. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით www.zssu.ge

**შეფასება:**

**☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5** დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სასწავლო უნივერსიტეტმა გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მიმდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის (ნომენკლატურის)" შესაბამისად. დასრულდა დაქსელვის სამუშაოები, რაც წინაპირობაა ელექტრონული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჟურნალების წარმოებისა და საქმისწარმოების ელექტრონული დოკუმენტბრუნვის დასანერგად (Eflow).

სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილი დოკუმენტები დასახელების, ფორმისა და რეკვიზიტების შემადგენლობის მიხედვით შეესაბამება საქმის წარმოების ერთიანი წესის მოთხოვნებს, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებას, სტრუქტურული ერთეულის დებულებასა და დოკუმენტირების წესების შემცველ სხვა ნორმატიულ აქტებს.

მნიშვნელოვანი საკითხები, ძირითადი და ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში მიიღება ან/და გამოიცემა სხვადასხვა სახის განკარგულებითი დოკუმენტი (ბრძანება, დადგენილება, ოქმი და სხვა.

სასწავლო უნივერსიტეტის მართვის ორგანოები კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემენ აგრეთვე სხვა მმართველობით დოკუმენტებს: სამუშაო/სამოქმედო გეგმა, ანგარიში, წესდება, დებულება, წესი/ინსტრუქციები და სხვა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. საქმისწარმოების ერთიანი წესით;
2. კანცელარიის დებულებით;
3. აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვის ჟურნალებით;
4. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით www.zssu.ge

**შეფასება:**

☐ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6** დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სასწავლო უნივერსიტეტში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება, რისთვისაც სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მუდმივად ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით ღონისძიებებს, პერიოდულად ტარდება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებისა და დამხმარე შენობების, ტერიტორიების სახანძრო ტექნიკური შემოწმება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

2015 წლის 11 ნოემბრის #176 ხელშეკრულებით შეძენილ იქნა 48 ერთეული ნახშირორჟანგოვანი ცეცხლმაქრი, განახლდა საევაკუაციო გეგმა-ნახაზები, გადაიტუმბა ცეცხლმაქრები.

**სასწავლო უნივერსიტეტში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა ჯანმრთელობა.** ამ მიზნით სასწავლო უნივერსიტეტში დამტკიცებულია ,,ექიმის დებულება“ რომელიც არეგულირებს სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების სამედიცინო დახმარების (პირველადი დახმარების) აღმოჩენას საჭიროების შემთხვევაში; საჭიროების შემთხვევაში პერსონალისა და სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას; სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო რესურსის/მედიკამენტების შესაძენად წინადადებების მომზადებას, სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას, საჭიროების შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ჩართულობას, სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას, მათ შორის სასადილოში, სასაწავლო სახელოსნოში, აუდიტორიებში, სველ წერტილებში არსებულ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დადგენასა და დაცვას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სანიტრული კვანძები, სასწავლო კორპუსებსა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში (ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14, №17, სენაკი, მშვიდობის ქ. №192) სრულად არის დაცული სანიტარული ჰიგიენის ნორმები. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ხელსაბანებით, აღჭურვილია სათანადო ჰიგიენური საშუალებებით. ფუნქციონირებს გამართული ვენტილაციის სისტემა.

ეზოები კეთილმოწყობილია, ტერიტორიებზე (ზუგდიდი, სენაკი) განთავსებულია დრენაჟის ეფექტიანი სისტემა. ეზოში განთავსებულია სანაგვე ბუნკერები. რეგულარულად წარმოებს ნარჩენებისა და ნაგვის გატანა. სასწავლო კორპუსები მოწყობილია ისე, რომ იძლევა მის სუფთა მდგომარეობაში შენარჩუნების, დასუფთავებისა და დეზინფექციის საშუალებას. სასწავლო კორპუსები მარაგდება სასმელი წყლით, რომელიც სპეციალური ბიდონებით ქულერების საშუალებით მიეწოდება სტუდენტებს და პერსონალს. სასწავლო უნივერსიტეტს გააჩნია ავტონომიურ წყაროზე დაფუძნებული უწყვეტი წყალმომარაგების სისტემა, სრულად რეაბილიტებული საკანალიზაციო სისტემა.

სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა სასადილო რეგულარულად გადის მონიტორინგს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენელთა მხრიდან.

სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სასწავლო უნივერსიტეტის საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა აუდიო ჩანაწერის გარეშე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციით;
2. შესყიდვის ხელშეკრულებებით;
3. ექიმის დებულებით;
4. შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. ვიზუალური დათვალიერებით;
6. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით

**შეფასება:**

**☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7** დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სასწავლო უნივერსიტეტს აქვს ნაწილობრივ ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

ზუგდიდისა და სენაკის სასწავლო კორპუსებისა და ზუგდიდის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის 1-ლი სართულები სრულად ადაპტირებულია, სენაკის პროფესიულ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის, სასწავლო კორპუსის სარეაბილიტაციო საპროექტო სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით გათვალისწინებულია სრულად ადაპტირებული გარემოს მოწყობა ყველა სართულზე (ბაქან-ლიფტის მოწყობა). სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, პრიორიტეტებიდან გამომდინარე, აუმჯობესებს შშმ პირთა პირობებს, რისთვისაც მოიპოვა დაფინანსება და ახორციელებს ბაქან-ლიფტის მოწყობას. დაგეგმილია ზუგდიდის ბაზაზე ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე, რისთვისაც შემუშავებული და დამტკიცებული შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან 68 000 ლარის ოდენობით, მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმება.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. 2017 წლის 28 დეკემბრის, სააგენტოსთან ხელშეკრულება #32070202-32, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების # შშმ პირთათვის ზაქან-ლიფტის მოწყობა 113 409.95 ლარი;
2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან 68 000 ლარის ოდენობით, მიმდინარეობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმება.
3. დაწესებულების პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიუირებით;
4. ვიზუალური დათვალიერებით.

**შეფასება:**

**☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8** ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი. სასწავლო უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია და მუდმივად აუმჯობესებს ვებგვერდის ფუნქციონირებას ქართულ და ინგლისურ ენებზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 



მიმდინარეობს ვებგვერდის (ინგლისურენოვანი ვებ გვერდის) სრულყოფა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრის დებულებით;
2. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ვებგვერდის ადმინისტრირების წესით;
3. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით www.zssu.ge

**შეფასება:**

☐ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9** შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

დაწესებულებას შემუშავებული აქვს განვითარების ერთწლიანი, სამოქმედო და გრძელვადიანი, შვიდწლიანი გეგმები. გრძელვადიან გეგმაში გაწერილია 7 სტრატეგიული მიზანი, თითოეულში კი ამოცანები, აქტივობები, მოსალოდნელი შედეგებით, შესრულების ინდიკატორებითა და რესურსებით.

თითოეული პრიორიტეტი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას და განვითარებას, მათი უზრუნველყოფი მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. პერიოდულად მიმდინარეობს სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. სასწავლო უნივერსიტეტის გრძელვადიანი და ერთწლიანი განვითარების გეგმებით;
2. ,,მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა/შეფასების მეთოდოლოგია“ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით;
3. აკადემიური საბჭოს 2018 წლის 2 თებერვლის #11 გდადგენილებით დამტკიცებული სასწავლო უნივეტრიტეტის სამწლიანი და 2018 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესით“
4. დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებით.
5. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით www.zssu.ge

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1** დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ცოდნის განახლებაზე. სასწავლო უნივერსიტეტში დამტკიცებულია ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა“, ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი“, სტრუქტურული ერთეულების დებულებები. მართვის პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის მართვის ეფექტიანობის წესს, საუნივერსიტეტო საქმიანობის მონიტორინგის მექანიზმებს, ,,მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების სისტების/შეფასების მეთოდოლოგიის" საფუძველზე ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის/ანგარიშის/რეკომენდაციების გამოყენების გზით გაუმჯობესების პროცედურებს.

პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფუძნება სასწავლო უნივერსიტეტის განვითარების შიდა ასპექტებს და გარემო პირობების თავისებურებებს, განსაზღვრავს ადამიანურ რესრუსებთან მუშაობის საფუძველს და მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. პერსონალის მართვის პოლიტიკა ხელს უწყობს საერთო მიზნის გარშემო სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოების გაერთიანებას, პერსონალის პროფესიულ განვითარებას, შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ინოვაციური იდეებისა და ინიციატივების განხორციელებას, რომელიც დაფუძნებულია სამართლიანობის, გამჭვირვალობის, მრავალფეროვნებისა და თანასწორობის პრინციპებზე.

,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესი უზრუნველყოფს უნივერსიტეტში პასუხისმგებლობების გადანაწილებას, დელეგირებასა და ანგარიშვალდებულებას. დებულებებით გაწერილი სამუშაოების აღწერილობები უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას;

სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობას წარმართავენ: მართვის ორგანოები, აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული, დამხმარე და სხვა პერსონალი. სასწავლო უნივერსიტეტში შექმნილია თანაბარი სასწავლო გარემო პროფესიული და უმაღლესი განათლების მისაღებად. საგანმანათლებლო პროგრამებს სასწავლო უნივერსიტეტში ახორციელებს: პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 110 პროფესიული მასწავლებელი.

სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრირებაში ჩართულია 81 შესაბამისი სტრუქტურული ერთეულით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მათ შორის შტატგარეშე 20 პერსონალი.

საქართველოს შრომის კოდექსის გათვალისწინებით რექტორის 2016 წლის 08 იანვრის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

#01-02/04 ბრძანებით სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი დაინიშნა უვადოდ,შესაბამისად გაუფორმდა უვადო შრომითი ხელშეკრულებები.

სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის შერჩევის პროცესი მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;
2. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკით;
3. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პასუხისმგებლობების გადანაწილების, დელეგირებისა და ანგარიშვალდებულების წესით;
4. აკადემიური, მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესით;
5. დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესით;
6. შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალისა და ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით.
7. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით www.zssu.ge

**შეფასება:**

■ **ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.2** საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ სათანადო გამოცდილება პროგრამის კონკრეტულ სფეროში; პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მცირე ნაწილი არის ამავე დროს აკადემიურ თანამდებობაზე, მაგრამ ისინი ფლობენ პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო პრაქტიკულ უნარ -ჩვევებს.

პროფესიული განათლების მასწავლებლებმა მოდულური პროგრამების დანერგვისა და განხორციელების პროცესში გაიარეს როგორც ტრენინგები, ასევე საკონსულტაციო შეხვედრები მოდულური პროგრამების მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარლებში. დარგობრივი ტრენინგები გაიარეს: ოფისის მენეჯერის, ფარმაცევტის თანაშემწის, პრაქტიკოსი ექთნის, ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის, ფილამწყობის, მეხილეობის, ფერმერის (მეცხოველე), ვეტერინარიის, მემცენარეს, დურგლის, შემდუღებლის, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. ტრენინგები ორგანიზებული იყო როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების ცენტრის, ასევე გაეროს განვითარების პროგრამისა და სხვადასხვა ორგანიზაციების ხელშეწყობით. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა ტრენინგები გაიარეს როგორც ზუგდიდის, ასევე სენაკის ბაზაზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

1. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დეკანების, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების წესით“;

2. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ წესით“;
3. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალისა და ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით“;
4. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით“;
5. .,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკით“;
6. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მასწავლებლისა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის (სპეციალისტის) საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით“;
7. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით www.zssu.ge

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**3.3** პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სასწავლო უნივერსიტეტში პერსონალის არჩევის/შერჩევის/დანიშვნის პროცესი განსაზღვრულია შესაბამის პოზიციაზე/პოზიციებზე არჩევის/შერჩევის/დანიშვნის წესით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და პროცედურა ეფუძნება კომპეტენტურობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მასწავლებლისა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის (სპეციალისტის) საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“ შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ კანონებისა და საქართველოს ,,შრომის კოდექსის“ შესაბამისად და ადგენს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში კვალიფიციური კადრების მოზიდვის, დასაქმების, რეგიონში დამაგრებისა და შენარჩუნების წესს.

მასწავლებლის თანამდებობაზე მიიღება საქართველოს შრომის კოდექსის, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებისა და ამ წესის შესაბამისად გასაუბრების საფუძველზე პირი, რომელსაც გააჩნია საგანმანათლებლო სივრცეში (კვალიფიკაციის მიხედვით) პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება. პროფესიულ საგანმანათლებლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) საშტატო ერთეულზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების წესით უმაღლესი განათლების/აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოწვეული, საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) საშტატო ერთეულზე შეიძლება მოწვეულ იქნეს ზეპირი გასაუბრების წესით უმაღლესი განათლების/აკადემიური ხარისხის მქონე პირი, პროფესიული განთლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების დეკანების, აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების წესით“
2. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ წესით“
3. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დამხმარე პერსონალისა და ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთა საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით“
4. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით“
5. .,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა“,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. ,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში მასწავლებლისა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პროფესორ-მასწავლებლის (სპეციალისტის) საშტატო ერთეულებზე სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესი“
7. სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდით www.zssu.ge

**შეფასება:**

**☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი | რედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართი /მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა მისამართების მიხედვით) | ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | სტუდენტებისათვის/საგნობრივი პროგრამებისათვის | სტუდენტებისათვის | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პრაქტიკოსი ექთანი | V | პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესული კვალიფიკაცია -090552 | 126 | 156 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 32 | 40 |
| | | | | | | | სენაკი, მშვიდობის ქ. N192 | 21 | 40 |
| 2 | ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგი | V | ბაგა-ბაღის აღმზრდელი-პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესული კვალიფიკაცია -030254 | 115 | 145 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 23 | 40 |
| | | | | | | | სენაკი, მშვიდობის ქ. N192 | 26 | 40 |
| 3 | ბუღალტრული აღრიცხვა | V | მეხუთე საფეხურის პროფესული კვალიფიკაცია ბურალტრულ აღრიცხვაში -020156 | 99 | 129 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 0 | 40 |
| | | | | | | | სენაკი, მშვიდობის ქ. N192 | 0 | 40 |
| 4 | კომპიუტერული ქსელის ადმინისტ | V | კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესული | 121 | 151 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 0 | 28 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რატორი | | კვალიფიკაცია -040161 | | | | | | |
| 5 | ფარმაცევტის თანაშემწე | IV | ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -090351 | 90 | 120 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 32 | 40 |
| | | | | | | | სენაკი, მშვიდობის ქ. N192 | 26 | 40 |
| 6 | ოფისის მენეჯერი | IV | ოფისის მენეჯერის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -020365 | 105 | 135 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 10 | 40 |
| | | | | | | | სენაკი, მშვიდობის ქ. N192 | 3 | 40 |
| 7 | ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი | IV | ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -070355 | 115 | 145 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 11 | 20 |
| 8 | ფილამწყობი | III | ფილამწყობის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -040682 | 68 | 83 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 12 | 20 |
| 9 | ინფორმაციის ტექნოლოგ | III | მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 | 75 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 0 | 20 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ია | | ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში-040171 | | | | სენაკი, მშვიდობის ქ. N192 | 0 | 20 |
| 10 | მეხილეობა (კაკლოვანი კულტურები) | | მეოთხე საფეხურის პროფესული კვალიფიკაცია მეხილეობაში (კურკოვანი კულტურები /თესლოვანი კულტურები /კაკლოვანი კულტურები ) 010166 | საბაზო განათლების მქონე პროფ. სტუდენტებისთვის -99 | საბაზო განათლების მქონე პროფ. სტუდენტებისთვის -129 | ქართული | ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. N14 | 0 | 10 |
| | | | | | | | სენაკი. მშვიდობის ქ. N192 | 15 | 20 |
| | | | | სრული ზოგადი განათლების მქონე პროფ. სტუდენტებისთვის -64 | სრული ზოგადი განათლების მქონე პროფ. სტუდენტებისთვის -94 | | | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

24.10.2018



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: 

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: 

